საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5082
20/06/2018

5082-09-2-201806201534

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს დავით ქუტიძეს

ასლი: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსს ნანა ჩინჩილაკაშვილს

#7527 წერილის (13.06.2018) პასუხად გიგზავნით ინფორმაციას 2017-2018 წლებში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და USAID-ის გრანტის შესახებ (იხილეთ Exel-ის ფაილი). ასევე გაცნობებთ, რომ 2016 წელს ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის თანხები არ გამოყოფილა, რადგან მავნებელი საქართველოში 2016 წელს გავრცელდა და შემდეგ დაიწყო მუშაობა 2017 წლის პროგრამაზე.

2018 წლის სახელმწიფო ქვეპროგრამის „აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები“ ფარგლებში, დღეისათვის აჭარის ა/რ-ის, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებში თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავებულია 200 ათასამდე ჰექტარი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და სოფლის ტერიტორიები, ხოლო მცირემოცულობიანი (ცივი) შესხურებით - 5200 ჰექტარი; სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე აზიური ფაროსანას გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ტყის პერიმეტრზე, ბუფერულ ზონებში, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, დამონტაჟებულია 60 ათასამდე „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური. ღონისძიებები ჩატარდა 22 მუნიციპალიტეტის 382 სოფელში.

ივლისის შუა რიცხვებიდან წამლობა ჩატარდება სიმინდის საყანე ფართობებში. შემდგომი ღონისძიებები დაიგეგმება ფაროსანას ზაფხულის ფაზის მონიტორინგის შედეგების მიხედვით.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge